მაღალი მომთხოვნელობის, ბოლშევიკური პრინციპულობის ვითარებაში განიხილეს კონფერენციის დელეგატებმა ამოცანები, რომლებიც გამოდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან, ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებებიდან, აგრეთვე საანგარიშო პერიოდში ოლქის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები.

მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ავტონომიური ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებენ და სავსებით უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის— თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ლენინურ კურსს.

დელეგატებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს წარმოების ინტენსიფიკაციის გზებს, რეზერვებს, რომლებიც უნდა ამოქმედდნენ.

ავტონომიური ოლქის მრეწველობამ ვადამდე, პირველი დეკემბრისათვის შეასრულა ხუთწლედის სამი წლის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ გარკვეული ძვრები მოხდა კაპიტალურ მშენებლობაშიც.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნეს დელეგატებმა, ეს მხოლოდ დიდი, სერიოზული მუშაობის დასაწყისია, რომელიც ჯერ კიდევ უნდა გასწიონ. მიღწეული შედეგები მოპოვებულია პარტიისა და მთავრობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დიდი დახმარების, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისა და ხელგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული კურსის მეოხებით.

კონფერენციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იდგა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების აქტიური პრობლემები, ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის, საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. აღინიშნა, რომ სამი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 28 პროცენტით, მტკიცდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდის მანძილზე ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებული წარმატებანი განაპირობა მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა თავდადებულმა შრომამ. ამ წარმატებებში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ცხინვალის ლუდისა და ხილის წყლების ქარხნის მხარშავს ვ. ვაგაევს, „ელექტროგიბრომაწქანის“ ქარხნის ზეინკალს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს რ. ბეტეევს, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მკერავ მოტორისტს, სსრ კავშირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, შრომის ვეტერანს ტ. ტარაევას, ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობის მეცხვარეს შ. შიუკაშვილსა და სხვებს.

შეეხნენ რა მოღწევებს, დელეგატებმა საფუძვლიანად, პრინციპულად ილაპარაკეს იმაზე, რომ ოლქის მთელ ეკონომიკაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ქმედითი ფაქტორებს, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ცდილობს შესწორებები შეიტანოს გეგმებში მათი შემცირების თვალსაზრისით.

მაგალითად, მიმდინარე წლის 11 თვეში ოლქის ზეიმამ საწარმომ შეანელა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი. მათ სახელმწიფოს დაკლეს 600 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო 10 საწარმომ 900 ათასი მანეთით შეამცირა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა. ჯერ კიდევ არის მოწყობილობის არარაციონალური გამოყენების ფაქტები. ოლქის მთელ რიგ საწარმოებში მაღალია კადრების დენადობა, იკარგება სამუშაო დრო.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ოლქის მთელ რიგ ქარხნებში არ სრულდება სტანდარტების მოთხოვნები. მაგალითად, ეს მოთხოვნები დაცული არ ყოფილა 17 შემოწმებული საწარმოდან 16 საწარმოში.

აღინიშნა ისიც, რომ სისტემატურად არ სრულდება კაპიტალურ დაბანდებათა, ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმები, ირღვევა მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები, შეტად დაბალია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, შეუწყნარებლად ნელი ტემპით იწერგება შრომის პროგრესული და ინდუსტრიული მეთოდები, ძვირდება სამრეწველო სამუშაოები. საკმარისია ითქვას, რომ მეათე ხუთწლედის დამდეგიდან მთლიანად ათვისებული არ არის 27,3 მილიონი მანეთი, დღეგანდერმის მოთხოვნებს არ შეესაბამება მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დონე. სერიოზული ნაკლოვანებანია მეურობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმიანობაში.

დიდი ყურადღება დაეთმო ავტონომიური ოლქის სოფლების მშრომელთა შორის პარტიულ-ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას. დელეგატებმა თქვეს, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიის საოლქო კომიტეტმა, პარტიის ცხინვალის საქალაქო და რაიონული კომიტეტებმა დაუშვეს შეცდომები კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში.

სამხრეთ ოსეთის XXXV საოლქო პარტიული კონფერენციის მუშაობამ ჩაიარა მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ-დონეზე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. მან განხილულ საკითხებზე მიიღო რეზოლუცია, აირჩია საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პ. გ. გილაშვილმა.**

* * *

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩეულია **ფ. ს. სანაკოევი**, მეორე მდივნად — **გ. კ. ლორთქიფანიძე**, მდივნად — **ი. ვ. გაბარაევი.** (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 26 დეკემბერი. (საქინფორმის კორ.). საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის აქ გამართულმა პლენუმმა განიხილა აჭარის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და მის მითითებების შესასრულებლად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ.

მოხსენებასა და გამოსელებში აღინიშნა, რომ ხუთწლედის მანძილზე აჭარის ასსრ მშრომელებმა მნიშვნელოვან საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს. ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ ჯერ კიდევ 14 დეკემბერს შეასრულა ძირითად სახეობათა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ხუთწლედის სამი წლის საგეგმო დავალება. 1975 წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება. სოფლის მშრომელებმა გადაჭარბებით გაანადღეს ჩაის ფოთლის, ხილის, ბოსტნეულის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების, ციტრუსის კრეფის სამი წლის გეგმები.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების რეზერვების ძიებას. აჭარის სახალხო მეურნეობაში, აღინიშნა პლენუმზე, ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხია. ობიექტურ პირობებთან შედარებით უფრო ნელ-მაღლდება მთელი რიგი საწარმოების წარმოების ტექნიკური დონე. ზოგიერთი მათგანი არასტაბილურად მუშაობს, არღვევს საგეგმო დისციპლინას. მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში დაბალია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. არსებით გაუჭრობესებას საჭიროებს კაპიტალური მშენებლობა. ნაკლოვანებებია მომსახურების სფეროშიც.

პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარტიული ორგანიზაციები შემოქმედებითად უნდა მოეკიდონ წარმოების ტემპის გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლინების დამატებით შესაძლებლობათა ძიებას.

ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, შრომის ვეტერანს ტ. ტარაევას, ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობის მეცხვარეს შ. შიუკაშვილსა და სხვებს.

შეეხნენ რა მოღწევებს, დელეგატებმა საფუძვლიანად, პრინციპულად ილაპარაკეს იმაზე, რომ ოლქის მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ქმედითი ფაქტორებს, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ცდილობს შესწორებები შეიტანოს გეგმებში მათი შემცირების თვალსაზრისით.

მაგალითად, მიმდინარე წლის 11 თვეში ოლქის ზეიმამ საწარმომ შეანელა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი. მათ სახელმწიფოს დაკლეს 600 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო 10 საწარმომ 900 ათასი მანეთით შეამცირა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა. ჯერ კიდევ არის მოწყობილობის არარაციონალური გამოყენების ფაქტები. ოლქის მთელ რიგ საწარმოებში მაღალია კადრების დენადობა, იკარგება სამუშაო დრო.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დეთმო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ოლქის მთელ რიგ ქარხნებში არ სრულდება სტანდარტების მოთხოვნები. მაგალითად, ეს მოთხოვნები დაცული არ ყოფილა 17 შემოწმებული საწარმოდან 16 საწარმოში.

აღინიშნა ისიც, რომ სისტემატურად არ სრულდება კაპიტალურ დაბანდებათა, ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმები, ირღვევა მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები, შეტად დაბალია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, შეუწყნარებლად ნელი ტემპით იწერგება შრომის პროგრესული და ინდუსტრიული მეთოდები, ძვირდება სამრეწველო სამუშაოები. საკმარისია ითქვას, რომ მეათე ხუთწლედის დამდეგიდან მთლიანად ათვისებული არ არის 27,3 მილიონი მანეთი, დღეგანდერმის მოთხოვნებს არ შეესაბამება მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დონე. სერიოზული ნაკლოვანებანია მეურობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმიანობაში.

დიდი ყურადღება დეთმო ავტონომიური ოლქის სოფლების მშრომელთა შორის პარტიულ-ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას. დელეგატებმა თქვეს, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიის საოლქო კომიტეტმა, პარტიის ცხინვალის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა დაუშვეს შეცდომები კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო კომიტეტის მუშაობამ ჩაიარა მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ-დონეზე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. მან განხილულ საკითხებზე მიიღო რეზოლუცია, აირჩია საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პ. გ. გილაშვილმა.**

* * *

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩეულია **ფ. ს. სანაკოევი**, მეორე მდივნად — **გ. კ. ლორთქიფანიძე**, მდივნად — **ი. ვ. გაბარაევი.** (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ

ᲣᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ, 28 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის რ. მიტტერის თავმჯდომარეობით აქ გაიმართა რევოლუციური საბჭოს სხდომა, რომელზეც მიიღეს მიმართვა ერაყისადმი პუარი ბუმედიენის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. „პრეზიდენტი გარდაიცვალა, — ნათქვამია მიმართვაში, — დარწმუნებული, რომ ალჟირის ეროვნული გათავისუფლების პარტიის ხელმძღვანელობით ალჟირის რევოლუცია გაგრძელებს წინსვლას, ხოლო ქვეყნის პატრიოტული ძალები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან, რათა უშრუნველყონ რევოლუციის განვითარება ყველა დარგში“. ალჟირელი ხალხი, ხაზგასმულია დოკუმენტში არავითარი გარემოებისა და სიძნელეების გამო არ აიღებს ხელს დასახულ მიზნებზე.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 28 დეკემბერი. (საკდესი). თურქეთის პარლამენტმა მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება ქვეყნის 13 ვილაიეთში სამხედრო წესების შემოღების შესახებ ქალაქ კახრამანმარასში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებთან, სადაც მემარჯვენე ექსტრემისტთა პროვოკაციების შედეგად ასამდე კაცი დაიღუპა და ათასზე მეტი დაიჭრა.

პარლამენტის სხდომაზე გამოსულმა პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა განაცხადა, რომ მთავრობა იძულებული იყო სამხედრო წესები შემოეღო ტერორის გაბშირებული შემთხვევების გამო, რომლებიც, მისი თქმით, „საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს მთლიანობასა და ერთიანობას“. მან ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა შეეცდება მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილება გამოიყენოს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით, ამასთან თავის შეურიგებლობას, აშკარა მუქარასაც არ ერიდება და ნათლად აგრძნობინებს სეპარატულ მოლაპარაკებებში თავის პარტნიორს, რომ ახალ-ახალ დათმობებს მოელის მისგან. გუშინ, ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკების დაწყების შემდეგ პირველად ისრაელის არმიის სარდლობამ მთელ ქვეყანაში რეზერვისტთა „საწვრთნელი“ მობილიზაცია მოაწყო. ულტრამემარჯვენე ნაციონალისტურმა ორგანიზაციამ „გუშინწინმა“ ისრაელ კოლონისტთა ორი ახალი დასახლება შექმნა იორდანის დასავლეთ ნაპირზე. ისრაელის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ზიპორიმ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ ახლა ამ და სხვა ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს მიწის ნაკვეთების მომზადება ისრაელის გასამხედროებლად დასახლებების მშენებლობისათვის.

ᲛᲖᲐᲦᲓᲔᲑᲐ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲐᲣᲜᲓᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲢᲝᲜᲘ, 28 დეკემბერი. (საკდესი). როგორც იუნიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, ეგვიპტე და ისრაელი დათანხმდნენ მოაწყონ სეპარატული მოლაპარაკების მორიგი რაუნდი ორმხრივი „საზავო“ ხელშეკრულების უსწრაფესი ხელმოწერის მიზნით. მასში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც მთელი ძალღონით ესწრაფვიან დაარჩარონ ეგვიპტე-ისრაელის გარიგების დადება. ახალი სამმხრივი შეხვედრის დრო და ადგილი, აღნიშნავს საგენტო, ერთ კვირაში გამოსაზღვრება.

მოლაპარაკების განახლების წინ ისრაელის მხარე ყველანაირად ალენს თავისი პოზიციის სიმკაცრეს. გუშინ იერუსალიმში გამოსვლისას, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა კვლავ გამორიცხა იმის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ნელშეკრულების ტექსტში ან მის დამატებაში შეტანილ იქნეს რაიმე ცვლილებები, რომლებიც კაიროს იმისათვის სჭირდება, რომ ნაწილობრივ მაინც

> **ᲙᲔᲛᲯ-ᲓᲔᲕᲘᲓᲘᲡ** შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებს განახორციელებინებს თავის სტრატეგიულ მიზანს ახლო აღმოსავლეთში —ხაბოლოოდ გამოაყვანინებს ეგვიპტეს არაბული ქვეყნების რიგებიდან და იმპერიალიზმის ინტერესების დამცველის როლს დააკისრებს.
>
> (ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲓᲐᲞᲐᲥᲘᲡᲠᲔᲚᲘ — ნახ. ბ. ლომიძისა.

ᲘᲠᲐᲜᲘ: ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲒᲣᲛᲝᲑᲐ ᲥᲚᲘᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ, ირანის უდიდეს ქალაქებს კვლავ მოედო მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაციათა მძლავრი ტალღა.

თეირანის უნივერსიტეტის რაიონში ჯარები ამაოდ ცდილობდნენ შეეჩერებინათ სამგლოვიარო პროცესია, რომელშიც ათიათასობით კაცი მონაწილეობდა. ისინი აქ იმიტომ მოვიდნენ, რომ გამოეთქვათ პროტესტი ტექნოლოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი პროფესორის გუშინდელი მკვლელობის წინააღმდეგ, რომელიც ჯარისკაცებმა იმ მომენტში დახვრიტეს, როცა იგი მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტროს ავიაზზე გამოვიდა და მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებს გაიძახოდა ქუჩაში მიმავალ დემონსტრანტთა წინაშე.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, დღეს უნივერსიტეტის მახლობლად გაფოფრებული შეტაკების დროს დაიღუპა სულ ცოტა 8 კაცი, მათ შორის 2 ოფიცერი, რომელიც დემონსტრანტთა დახვრეტას ხელმძღვანელობდნენ.

ირანის დედაქალაქის ქუჩებში კვლავ ტანკები გამორნდა. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგენი. დღეს დილიდანვე ადგილობრივ ირანელთა ჯგუფები რაღა იყრიდნენ ქალაქის საკვანძო რაიონებში. დემონსტრანტები ცეცხლს უკიდებდნენ სამხედრო მანქანებს, აგებდნენ ბარიკადებს **ᲒᲖᲐᲜᲐᲮᲠᲔᲑᲘᲡ** ზეჯვარედინზე.

მცხუთე დღეა გრძელდება ჯარებსა და პოლიციის შეტაკებანი დემონსტრანტებთან, რომლებიც ცდილობენ ამერიკის საელჩოსკენ მისვლას. ამ რაიონში მდებარე სასლები აჭრელებულია ამერიკის საწინააღმდეგო ლოზუნგებით. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ოფიციალურად გააფრთხილა ყველა ამერიკელი, რომ მათ ნაკლებად იარონ ქალაქში და მოერიდონ დემონსტრანტებს.

მოდის ცნობები, რომ მღელვარებანია ისპაჰანში, თავრიზში, შეშედსა და ირანის სხვა ქალაქებში.

დღეს საერთო-ეროვნულ გაფიცვაში ჩაება ირანის ავიაკომპანია „ირან ეირის“ ყველა მუშაკი. მენავთობეთა გაფიცვის შედეგად ნავთობის მოპოვება დღეში 240 ათას ბარელამდე შემცირდა, რაც ნავთობის მოპოვების ჩვეულებრივი დონის მხოლოდ 4 პროცენტია. ნავთობის ექსპორტი მოლიანად შეწყდა. ქვეყანაში შემოღებულია ნავთობროდუქტების მკაცრი განაწილება. მათი მწვავე ნაკლებობის გამო შემსყიდველი მისეები სასწრაფოდ გაგზავნეს კუვეიტსა და საუდის არაბეთში.

ირანის ნავთობის კომპანიის დირექტორ-განმკარგულებელი ენთეზამი გუშინ შეხვდა მენავთობეთა დელეგაციას და იმედოვნებდა, რომ დაიყოლიებდა მათ შეეწყვიტათ გაფიცვა. როგორც იუწყებიან, იგი დათანხმდა მათი ყველა ეკონომიკური მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მაგრამ გაფიცულებმა განეცხადეს, მანამდე არ ვიმუშაავებთ, სანამ მაჰი არ გადადგებაო.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოს მოხელეებმა უარი თქვეს იმპორტული ტვირთის გაშვებაზე, ქვეყანაში მოლიანად შეწყდა კვების პროდუქტებისა და სხვა საჭიროსნისა და მოწყობილობის შემოტანა. ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი იუწყება, რომ მთავარ გასაჭვრეტ პუნქტში თურქეთის საზღვარზე საქონლით დატვირთული ავტოფორნები, რომლებიც საბაჟო შემოწმებას ელოდებიან, თითქმის 35 კილომეტრზე არიან ჩამწკრივებული.

შაპი ადგილობრივ ხელისუფალთ ბრალად სდებს იმას, რომ ისინი არ იჩენენ საკმაო სიმტკიცეს. ამასთან დაკავშირებით, როგორც ირანის დეპეშათა საგენტო პარსი იუწყება, გადაყენეს ისპაჰანის სამხედრო ადმინისტრატორი და ამ პოსტზე სხვა გენერალი დანიშნეს.

ირანის პარლამენტის ქვედა პალატა — მეჯლისი დღეს შეიკრიბა სპეციალურ სხდომაზე მას შემდეგ, რაც მისი 268 წევრი ვადამდე გამოიძახეს ზამთრის არდადეგებიდან. პარლამენტარებმა საიდუმლო ვითარებაში განიხილეს აზპარის სამხედრო მთავრობის საქმიანობა. წინათ უცნოთების საგენტოები იუწყებოდნენ, რომ ასეთი განხილება შაჰს მისცემდა საბაბს გადაეყენებინა სამხედრო მთავრობა და დანიშნა სამოქალაქო მთავრობა შინაგან კონფლიქტების ასაცილებლად. ეს ფინალურ ეტაპზე ადვილებენ თვალს სოციალიზმის სამყაროსადმი მტრული ძალების ყოველგვარ მანევრებს, განუწყვეტლივ განამტკიცებენ თავიანთ თავდაცვისუნარიანობას.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი დამაჯერებლად ადასტურებს მსოფლიო სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას, თვალნათლივ გვიჩვენებს რა თანამიმდევრულად ხორციელდება მარქსიზმ-ლენინიზმის, მეცნიერული კომუნიზმის იდეები მასების ალმშენებლობითს საქმიანობაში. ჩვენი, კომუნისტების აზრით, წერს წიგნის ავტორი, მომავალში სოციალისტური ქვეყნები ერთსულოვნად განაგრძობენ გზას საზოგადოების კომუნისტური ორგანიზაციისაკენ, რომელსაც ერთადერთს შეუძლია ყველა პირობა შეუქმნას პიროვნების მარმონიულ განვითარებას, ადამიანის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. კომუნიზმი ომშვიდობა — ეს ის შეტყობა, რომლის მიხედვითაც ჩვენს მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად ხვალინდელი დღის მარშრუტს ვავალავთ.

ეჭვი არ არის, რომ წიგნი „სოციალიზმის სამყაროო დიდი იდეების გამარჯვებაა“ — ღირსეულ ადგილს დაიკავებს მეცნიერული კომუნიზმის შესანიშნავ ნაშრომთა კრებულში.

„პრავდა“, 27 დეკემბერი.

ᲡᲣᲜᲭᲐ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 დეკემბერი. (საკდესი). სანტიაგოდან მიღებული ცნობებით, ჩილეს სამხედრო ხუნტის მეთაურმა პინოჩეტმა უკანასკნელი ათი თვის განმავლობაში მეორედ მოახდინა ცვლილებები თავის კაბინეტში. შეცვალეს ეკონომიკის, განვითარებისა და რეკონსტრუქციის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, საშინაო მშენებლობის, განათლების მინისტრები.

მიმომხილველნი ეხებიან ამ ახალ ცვლილებებს და გამოთქვამენ საერთო აზრს, რომ იგი მოასწავებს ხუნტის კიდევ ერთ ცდას იმოვის გამოსავალი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან, რომელშიც ქვეყანა მოექცა რეჟიმის ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად.

ინფორმაციას-78

თბილისელი მეჭიმები ალჟირში

ალჟირის მოსახლეობა დიდად აფასებს საბჭოთა მედიკოსების დახმარებას, რომლებიც კვეყანაში საკურთხევლო-პროფილაქტიკურ და სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან, — თქვა ს. ს. ვირსალოის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ თ. ბაქანიძემ, რომელიც ალჟირიდან დაბრუნდა, სადაც იგი სამ წელიწადს მუშაობდა საბჭოთა ექიმების ეპიდემიოლოგიური ჯგუფის შემადგენლობაში.

ალიერის პასტერის ინსტიტუტში მეცნიერულ კონსულტანტად მუშაობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გ. მატაბელი, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. კუვეიტში კოლეგებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს კლინიკური და ექსპერიმენტული ნეოროლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. მანჯაგალაძე.

(საქინფორმი).

თვითმოქმედების გამოფენაზე

ბათუმი. (საკ. კორ.). გაიხსნა თვითმოქმედ ოსტატთა და ხელოვანთა ნამუშევრების პირველი რესპუბლიკური გამოფენა. ვერნისაჟზე გამოფენილია 55 თვითმოქმედი ოსტატის 241 ნამუშევარი. ფართოდ არის წარმოდგენილი ფერწერული, გრაფიკული, კერამიკული, მოზაიკური ნამუშევრები, ხის ჩუქურთმა, ნიღბები, მინიატიურული ქანდაკებები. ყურადღებას იპყრობს ქედელი ვ. ერემაძისა და ბათუმელი პედაგოგის გ. ებრალიძის თვითნაკეთი მუსიკალური ინსტრუმენტები ჭიბონი, შერწყმული ფახდურ-გიტარა და სხვა.

გამოფენის ექსპონატებს მრავალი მნახველი ჰყავს.

მ. გორგილაძე.

სპორტი

სპორტული წლის ლაურეატები

მოსკოვი. ჩემპიონი ჭადრაკში 27 წლის **ანატოლი კარპოვი** (შეიარაღებული ძალები, ლენინგრადი), რომელმაც ბრწყინვალედ დაიცვა უძლიერესის ტიტული, პირველია წლის საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენების ათეულში, რომელიც „ტრიბიციისამებრ განსაზღვრეს ქვეყნის სპორტულმა ჟურნალისტებმა. ეს საახალწლო გამოკითხვა სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ მოაწყო სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველოსთან ერთად ჟურნალ-გაზეთების, დეპეშათა საგენტოების, ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებს შორის. კარპოვმა, რომელიც ათეულში მეხუთედ მოხვდა, ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.

მომავალი, 1978 წლის საუკეთესო სპორტსმენთა რიცხვში აგრეთვე შეუვანილი არიან: **ვლადიმერ იაშჩენკო** („ავანგარდი", ზაპოროჟიე) — მძლეოსნობა, **ნიკოლოზ ანდრიანოვი** („ბურევესტნიკი", ვლადიმირი) — ტანვარჯიში, **ვილჰელმინა ბორდაუსკენე** („დინამო", ვილნიუსი) — მძლეოსნობა, **ვლადიმერ სალნიკოვი** („ზენიტი", ლენინგრადი) — ცურვა, **ელენე მუხინა** (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი)— ტანვარჯიში, **მაია ჩიბოკოვა** („დინამო", თბილისი) — ჭადრაკი, **ბორის მიხაილოვი** (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი) — ჰოკეი, **იური ვარდანიანი** („ლოკომოტივი", ლენინაკანი) — ძალოსნობა. **იულია ბოგდანოვა** („ზენიტი", ლენინგრადი) — ცურვა.

სულ ჟურნალისტებმა დაასახელეს 'სპორტის 24 სახეობის' წარმომადგენელი 79 სპორტსმენი. (საკდესის კორ.).

ჭადრაკი — ფავორიტები მოგებით იწყებენ

ჰააგაში დაიწყო ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის მონაწილეთა რიცხვი 17 წელს არ აღემატება.

შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობს და სულ 11 ტური ჩატარდება. ასპარეზობის ძირითად ფავორიტებად მიჩნეულნ საბჭოთა მოჭადრაკეს, მოგიდლიოველ სპორტის ოსტატობის კანდიდატს პეტრე კორზუბოვს და ინგლისელ ნაიჯელ შორტს. ჯერჯერობით ფავორიტები ამართლებენ: საბჭოთა მოჭადრაკემ დაამარცხა ბერძენი პ. პანაიოტისი, ინგლისელმა კი შვედი ჰ. სვენი.

ტურნირი 6 იანვარს დასრულდება.

ფეხბურთი — ამჯერად კიგანი

ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა" დაასახელა 1978 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, რომელსაც სპეციალური ჯილდო „ოქროს ბურთი" გადაეცემა. ეს გახლავთ ინგლისელი **კევინ კიგანი.** მან გამოკითხვის შედეგად 87 ქულა დააგროვა. კიგანს ექნა ქულით ჩამორჩა ავსტრიელი იოჰან კრანკლი. მომდევნო ადგილებზე გაიარეს ჰოლანდიელი რობი რენსენბრიკი (50 ქულა) და იტალიელები რობერტო ბეტეგა (28 ქულა) და პაოლო როსი (23 ქულა).

27 წლის კიგანი ადრე „ლიერპულში" თამაშობდა, ახლა კი გერმ-ის „ჰამბურგში" გამოდის.

ადრე „ოქროს ბურთს" ფლობდნენ ისეთი აღიარებული ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ მეტიუზი, დი სტეფანო, სივორი, იაშინი, ბესტი, ბეკენბაუერი, კრუიფი, ბლოხინი და სხვები.

კიგანის სმაღლეა 172 სმ, მაგრამ ამის მიუხედავად ნებისმიერი მეტოქე გუნდის მცველთა' რისხვაა და თავითაც კარგად თამაშობს. „ლიერპულის" შემადგენლობაში მას 84 ბურთი აქვს გატანილი, „ჰამბურგში" კი ოცამდეა. ინგლისის ეროვნული გუნდის კაპიტანია და ნაკრებში 40 მატჩი აქვს ჩატარებული.

შ. ბუაჩიძე

გარდაიცვალა ვეტერანი ჟურნალისტი, სკკპ წევრი 1921 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე ძე ბუაჩიძე. შ. ბუაჩიძე დაიბადა 1894 წელს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ხარაგოულის ორკლასიან სასწავლებელში. სადაც მას ცნობილი რევოლუციონერი, ლენინის ერთგული მოწაფე სამუელ (ნოე) ბუაჩიძე ასწავლიდა, მონაწილეობას იღებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლებში.

პირველი მსოფლიო ომის დროს 1915-1918 წლებში იგი ჯარისკაცებში ეწეოდა ლენინური იდეების პროპაგანდას, აღანთებდა მათ თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი დაუცხრომლად იღვწოს რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, ხელმძღვანელობს სოფელ ფარცხნალში შექმნილ რევოლუციურ კომიტეტს, აწყობს მენშევიკების საწინააღმდეგო გამოსვლებს.

შემდეგ წლებში შ. ბუაჩიძე სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზეა: იყო ორჯონიკიძის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილე, ჰიპოთეკის მილიციის უფროსი, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, პროკურორი, შემდეგ კი ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის შ. ბუაჩიძე დაჯილდოებული იყო.

შ. ბუაჩიძემ საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო.

ძველი კომუნისტის, ლენინური იდეების აქტიური პროპაგანდისტის შ. ბუაჩიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი აღმზრდელებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ახლოვდება ახალი წელი. თბილისის მაღაზიებში მომხმარებელს ფართო ასორტიმენტის საახალწლო სათამაშოებს სთავაზობენ. რას არ ნახავთ აქ: ლალისფერ კრიალა ბურთებსა თუ თოვლის პაპებს, ფერად ნათურებსა თუ „წვიმას"...

სურათზე: მთავარი უნივერმაღის თბილისის" საახალწლო სათამაშოების სექციის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის გამყიდველი მ. მამაგულაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.



გკვუფრთხილდეთ გუნეგაკს

ნაძვისხის მოჭრა უკანონოგაა

ნაირფერი სათამაშოებით მორთულ და გაჩირაღდნებულ საახალწლო ნაძვისხეს ყველასათვის დიდი სიხარული მოაქვს. ეს ტრადიცია, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში თითქმის სამი საუკუნის ისტორია აქვს, ბავშვებთან ერთად ჩვენც გვახარებს და გვახალისებს; მაგრამ სიხარულს სინანული და სევდა მოჰყვება ხოლმე, როცა საახალწლო დღესასწაულების შემდეგ გადაგდებულ ნაძვისხეს დაინახავ, რომელსაც კიდევ დიზინს უნდა ეცოცხლა ტყეში და ადამიანების სასიხარულოდ და სასიკეთოდ გაზრდილიყო.

წარსულში საახალწლო ნაძვისხეების მასობრივმა შემოზიდვამ დიდი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის ტყეებსა და ხელოვნურ ნარგაებს, ამიტომ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით აიკრძალა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა უწყებათა ტყეებში, პარკებსა და ბაღებში, აგრეთვე ყველა სახის ნარგაებში წიწვიანი ჯიშის ხეების მოჭრა და მათი საახალწლოდ გაყიდვა. აგრეთვე, აეკრძალა ყველა ორგანიზაციას, კოლმეურნეობასა და კერძო პირს საახალწლო ნაძვისხის შემოზიდვა და რეალიზაცია.

მოქმედი კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი რაოდენობით საახალწლო ნაძვისხის მოჭრის შემთხვევაში დამნაშავე პირების მიმართ გამოიყენება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლი.

საახალწლო ნაძვისხის ავტომაწქანით შემოტანის შემთხვევაში მძღოლს ჩამოერთმევა მანქანის მართვის უფლება ერთ წლამდე ვადით.

აღნიშნულმა დადგენილებებმა კარგი ნაყოფი გამოიღო და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ახალგაზრდა კომუნებისა და ხელოვნურად გაშენებული მწვანე ნარგაების მდგომარეობა.

რესპუბლიკის მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა შეიძინა ხელოვნური ნაძვისხეები ან წიწვიანი ჯიშის ნერგები, რომლებსაც წლების განმავლობაში იყენებენ საახალწლო ზეიმებისთვის.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა ცალკეული პირები უკანონოდ ჭრიან წიწვიანი ჯიშის მოხარო ხეებს. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია გზისპირა ნარგაებსა და ბაღ-პარკებში.

ახალი წლის წინა პერიოდში სატყეო მეურნეობებმა დაიწყეს სადღეღამისო მორიგეობა. ბოკონერების გამოსაელენად, ტყის დაცვის მუშაკებთან ერთად, დიდ მუშაობას ეწევიან მილიციის, რკინიგზის, ავიაციისა და ავტოტრანსპორტის მუშაკები. მაგრამ მხოლოდ მათი მონდომება ვერ მოგვიტანს სათანადო შედეგს. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენგანი მოვალეა უფრთხილდებოდეს ბუნებას და იცავდეს მის სიმდიდრეს.

ზ. გალათურია,

ტყის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

გზა დავუხშოთ სპეკულანტებს!

საპოვარზე

ნარინჯოვანთა პლანტაციებში თავგამოდებული შრომაა გაჩაღებული. მეციტრუსეები ცდილობენ ტოლი არ დაუდოთ მეჩაიეებს და მევენახეებს, პირნათლად შეასრულონ გეგმაც და ვალდებულებაც. მაგრამ ზოგიერთი გულხარი, რომელსაც არად მიაჩნია თანასოფლელის, რესპუბლიკის პატიოსანი მშრომელების ღირსება, მომხვეჭელობის ცდუნებას აყოლილი ათასნაირი ხრიკებით ცდილობს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის გაპარგბას.

რკინის კასრის „მოდერნიზაციის" თეორია და პრაქტიკაც სოხუმელ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჯელიას და გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარანში მცხოვრებ ნოდარ ალექსანდრესძე ჯენიუკს ეკუთვნით.

14 დეკემბერს გუდაუთის რაიონის სოფელ ბგვარდვანში დაიკავეს „გაზ-53" მარკის სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც ნოდარ ჯენიუკი მართავდა. გვერდით კი ალექსანდრე ჯელია ეჯდა. სატვირთო ავტომანქანაზე 200-ლიტრიანი რკინის კასრები ეწყო, რომლებიც პირთამდე სავსე იყო ტექნიკური ზეთით. საგზურის ფურცელს კი „ცეკავშირის" სოხუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბეჭედი ამშვენებდა. საგზურში ჩაწერილი იყო, რომ ავტომანქანა „გაზ-53" სახელმწიფო ნომრით 54-49 გრტ, დატვირთულია რკინის კასრებში ჩასხმული ტექნიკური ზეთით და მიეგზავრება ოდესაში. მილიციის შუამავლს ეჭვი შეეპარათ ნ. ჯენიუკის სიმართლეში და რკინის კასრები გულდასმით გასინჯეს. გამოირკვა, რომ რკინის კასრებს მოსახსნელი ძირები ჰქონდა, კასრის ჩასასხმელ პირისათვის იგივე კვეთის მილი მიუდუღებიათ კასრის მთელ სიგრძეზე და ტექნიკური ზეთით ავესოთ, ხოლო კასრის დანარჩენ „სიცარიელეში საგულდაგულოდ გადარჩეული მანდარინი სათუთად ჩაეწყოთ. 23-ვე რკინის კასრი ამავე ხრიკით მანდარინით აევსოთ, რომლის საერთო წონამ 2300 კილოგრამი შეადგინა.

შემდგომმა წინასწარმა მოკვლევამ ისიც დაადგინა, რომ სატვირთო ავტომობილი არც ერთ ორგანიზაციას არ ეკუთვნის. ნ. ჯენიუკის განმარტებით ჩამოწერილი სატვირთო ავტომობილი ნაღდ ანგარიშზე შეუძენია „საქმიდროგეოლოგიის" ავტოგარაჟში და მის კერძო საკუთრებას წარმოადგენს. ავტომანქანის სახელმწიფო ნომრებიც ჯენიუკს თავის ხელით გამოუტეხია. საინტერესოა, რას იტყვიან „საქმიდროგეოლოგიის" იმ ავტოგარაჟის მესვეურნი, რომლებმაც ნ. ჯენიუკს სატვირთო ავტომობილი მიაყიდეს, და „ცეკავშირის" სოხუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელები, რომლის ბეჭედდასმული საგზურიც ზურგს უმაგრებდა ჯენიუკს და ჯელიას.

ვის არ ახსოვს ტყვიაველთა და ხუციუბნელთა პატრიოტული თაოსნობა, რომელსაც რესპუბლიკის ყველა მშრომელი დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურა, მაგრამ თვითონ ხუციუბნელ ზურაბ ბაირამის ძე მიქელაძეს და თამაზ ჯუმბერის ძე დავითაძეს ჩირად არ ეღირთ თანასოფლელების ეს პატრიოტული თაოსნობა. მათთვის მთავარია მანდარინი გაყიდონ მამასისხლად, იწანწალონ ქალაქიდან ქალაქში. სწორედ ამ მიზნით მიეგართებოდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ზ. მიქელაძის „ჟიგული" 200 კილოგრამი მანდარინით, 22 კილოგრამი ლიმონით და 23 კილოგრამი ფორთოხლით, ხოლო თ. დავითაძის მანქანა 450 კგ. მანდარინით. ისინი ბოგდანოვკალენინაკანის გზაზე დაიკავეს.

მეტად საეჭვოა, რომ სოფლების ბგვარდანისა და ხუციუბნის თავკაცებს, აქაურ აქტივისტებს არ ჰყავდეთ შენიშნული ილი მომხვეჭელობის ცდენენი შეპყრობილი ეს „გასტროლორები", მაშ რატომ არ იღებენ საპირო ზომებს?

სარეიდო ბრიგადა.

გზა მშვიდობისა!

გაითვალისწინა რა მშრომელთა ხელვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ ახალი წლის დღესასწაულისთვის დანიშნა დამატებითი სამგზავრო მატარებლები. მაგალითად, ძირითადი მატარებლების გარდა 30 დეკემბერს, აგვისტვი 1979 წლის 2, 4, 6, 8 და 10 იანვარს 19 საათსა და 33 წუთზე მოსკოვის დროით თბილისის სამგზავრო სადგურიდან გავა დამატებითი მატარებელი №169 თბილისი-მოსკოვი.

29 და 30 დეკემბერს და 2 იანვარს 20 საათსა და 12 წუთზე შედგენის სადგურიდან გავა მატარებელი №610 თბილისი-ბათუმი. 29 და 30 დეკემბერს 23 საათსა და 44 წუთზე თბილისის სამგზავრო სადგურიდან გავა მატარებელი №612 თბილისი-ქუთაისი-1. მატარებელი №620 თბილისი-მახარაძე შედგენის სადგურიდან გადის 29 და 30 დეკემბერს და 2 იანვარს 23 საათსა და 53 წუთზე. 29 და 30 დეკემბერს 22 საათზე თბილისის სამგზავრო სადგურიდან გავა მატარებელი №616 თბილისი-ცხაკაია. 29 და 30 დეკემბერს 00 საათსა და 10 წუთზე გადის მატარებელი №622 თბილისი-სამტრედია.

დანიშნულია აგრეთვე დამატებითი მატარებლები მოსკოვი-თბილისი, ბათუმი-თბილისი, ქუთაისი-თბილისი, ცხაკაია-თბილისი, მახარაძე-თბილისი, სამტრედია-თბილისი და სხვ.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ჩვენი ცხოვრება

ტელევიზია

29 დეკემბერი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ქიმია (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შეგიძვწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ", 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — „ახალგაზრდული შეხვედრები" (ფერადი), 19.55 — „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (ფერადი) 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ქვევრი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „მუსიკალური კალეიდოსკოპი"

მეორე პროგრამით

18.00 — მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 18.45 — განცხადებები, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.10 — მხატვრული ფილმი „შემოდგომა", 20.40 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენი თეატრის შესახებ".

რადიო

30 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები", 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.00 — „გაზეთ პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.37 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.40 — „მშობლიური ბუნება", რადიოჟურნალი (მოსკოვიდან), 12.00 — „ძმაო, ძმითა ხარ ტკბილი!" საბჭოთა პოეტების ლექტორი, 12.15 — „ახალგაზრდული ხმები". კონცერტი, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები" (მოსკოვიდან), 13.40 — ი. ბობოხიძე. სიმღერები, 14.00 — ა. გეწაძე. „მეზობლები". რადიოდრამა, 14.51 — „თქვენთვის, ესტრადის მოყვარულნო!", 17.15 — ბავშვებისათვის. „ლაპარაკობს ნაძვი", 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები", 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება". კონცერტი, 18.30 — „რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 19.00 — დამკვრელური წლის ფინიშზე", 19.15 — „ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 20.30 — „ჩვენი ინფიათ ჩანაწერები" — სვეტლანა ლეონიანოვი, 21.00 — „ძიღისპირული", 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „ჩემო ქვეყანავ, შენი ვარ...", 22.00— „ალბომ მშვიდობისა!". 23.30—ქართული ენა-ლიტერატურა — „ბუსიკა, 23.35 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

29 დეკემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **აბესალომ და ეთერი;** ჭარაანი შვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური—**ურიელ აკოსტა;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მე, ცოლი და სიდედრი;** მინიატურების სახელმწიფო — **ეშმაკის კუდი;** მეტეხის თეატრი — **ქართული ნოველების სალამო;** რუსთაველის თეატრი (პლეხანოვის, 127-ა) — **ღამის ამბავი;** კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნო — **წამებული დედოფლისა.**

„გზებზე მოძრაობის წესების" ცვლილებები და დამატებები

დამტკიცებულია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1978 წლის 5 სექტემბერს. ძალაში შედის 1979 წლის 1 იანვარს

1979 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის გზებზე მოძრაობის წესების დამატებები და ცვლილებები, რომელიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. დამატებები და ცვლილებები განიცადა გზებზე მოძრაობის არსებული წესების 23 პუნქტმა, რაც ავტომობილიზაციის მზარდი პროცესითაა ნაკარნახევი და ითვალისწინებს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გზებზე მოძრაობის წესების დამატებებს და ცვლილებებს, რომელიც ძალაში შევა 1979 წლის 1 იანვრიდან.

პუნქტი 12, ქვეპუნქტი „ბ" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ" უსაფრთხოების ქამრებით აღჭურვილი ავტომობილის მოძრაობისას გადაიკარით ქამარი და არ გადაიყვანოთ მგზავრები ისე, თუ გადაკრული არ ექნებათ ქამრები. მოტოციკლით მგზავრობის დროს უნდა გეხეროთ შეკრული მოტოჩაფხუტები და არ გადაიყვანოთ მგზავრები ისე, თუ შეკრული არ გექნებათ მოტოჩაფხუტი.

შენიშვნა. ინვალიდ მძღოლებს, რომლებიც მართავენ ხელით სამართავ ავტომობილებს, ტაქსის და კავშირგაბმულობის, აგრეთვე სასწრაფო სამედიცინო დახმარების და სხვა ოპერატიული სამსახურის ავტომობილების მძღოლებს და მგზავრებს დასახლებულ პუნქტებში მოძრაობისას შეუძლიათ არ შეიკრან ქამრები".

პუნქტი 13, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სპეციალური შეფერილობის და სპეციალური ხმოვანი სიგნალით და ლურჯი და (ან) წითელი ფერის მოციმციმე შუქურით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების მძღოლს, გადაუდებელი სამსახურებრივი დავალების შესრულებისას, შეუძლია გადაუხვიოს იმ წესების IV, V (მომწესრიგებლების სიგნალების გარდა), 6, 7, 8 თავების მითითებებს იმ პირობით, თუ უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებას. ამავე უფლებით სარგებლობენ იმ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები, რომლებსაც მიაცილებენ ჩართული სპეციალური ხმოვანი და (ან) შუქსიგნალებიანი სახელმწიფო ავტოინსპექციის სპეციალური ავტომობილები ან მოტოციკლები.

სხვა მძღოლები მოვალენი არიან გზა დაუთმონ და საერთოდ შემთხვევაში გაჩერდნენ, რათა უზრუნველყონ იმ სატრანსპორტო საშუალებათა დაუბრკოლებელი გავლა, რომლებიც იძლევიან სპეციალურ ხმოვან ან შუქსიგნალებს, ან და რომლებსაც სახელმწიფო ავტოინსპექციის სპეციალური ავტომობილები თუ მოტიციკლები მიაცილებენ.

იმ ავტომობილების მოახლოვებისას, რომლებსაც მიაცილებენ სატრანსპორტო საშუალებები ორი ან მეტი ჩართული მოელვარე სიგნალებით, რომელთაგან ერთი მაინც წითელი ფერისაა, მოციმციმე მიმართულებით არა უმეტეს ორი სამძრაო ზოლის მქონე გზებზე სხვა სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები მოვალენი არიან გაჩერდნენ ტროტუართან ან გზის პირზე, ხოლო თუ ასეთი არ არის — სავალი ნაწილის კიდესთან. მოძრაობის განახლება ნებადართულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩაივლის კოლონის ჩამკეტი ავტომობილი ორი ან მეტი ჩართული მოელვარე სიგნალით, რომელთაგან ერთი მაინც მწვანე ფერისაა.

ნარინჯისფერი მოელვარე შუქურით აღჭურვილი საგზაო მანქანებისა და მექანიზმების მძღოლებს სამუშაოთა შესრულების პროცესში შეუძლიათ გადაუხვიონ ამ წესების 43-45, 78, 79, 81, 82, 89 და 128 პუნქტებს, იმ პირობით თუ უზრუნველყოფენ მოძრაობის უსაფრთხოებას, ნარინჯისფერი მოელვარე სიგნალი საშიშროებისაგან გაფრთხილების საშუალებაა. ნარინჯისფერ მოელვარე სიგნალჩართულ საგზაო მანქანებს და მექანიზმებს სხვა მძღოლებმა არ უნდა შეუქმნან შეფერხება".

პუნქტი 15, „ა" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დაუყოვნებლივ გაჩერდნენ, ჩართონ საავარიო შუქსიგნალიზაცია (ამავე დროს მოსახვევების მოციმციმე მაჩვენებლები), ხოლო მისი უწესიერობის ან უქონლობის შემთხვევაში წესების 101-ე პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად დაყენონ საავარიო გაჩერების ნიშანი ან წითელი ფარანი და არ დაძრან აღგილიდან სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე სხვა საგნები, რომლებსაც დამოკიდებულება აქვს შემთხვევასთან".

23-ე პუნქტს დაემატოს აბზაცი:

„მგზავრებმა არ უნდა შეეწინააღმდეგონ ან შეეფერხებინ ან სხვა რამეზე არ გადაატანინონ ყურადღება მძღოლს სატრანსპორტო საშუალების მართვისას".

პუნქტი 56, გაუქმდეს უკანასკნელი ფრაზა.

71-ე პუნქტს დაემატოს აბზაცი:

„დღის ნათელ დროს ხილვადობის პირობების მიუხედავად კოლონაში მოძრაობისას სატრანსპორტო საშუალებაზე ჩართული უნდა იყოს ფარების ახლო სინათლე".

პუნქტები 101 და 128 „ბ" სტატუის „ვალდებულია" შემდეგ დაემატოს სიტყვები „...ჩართონ საავარიო შუქსიგნალიზაცია, ხოლო მისი უწესიერობის ან უქონლობის შემთხვევაში..." (შემდეგ როგორც ტექსტშია).

VIII თავის ნაწილის დასახელება „მოძრაობა, და დგომა ღამით ან სიბნელეში „შეიცვალოს" მოძრაობა და დგომა სიბნელეში და ღამისი არასაკმაო ხილვადობის პირობებში".

პუნქტები 132 და 133 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„132. სიბნელეში გზის გაუნათებელ მონაკვეთებზე მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ ფარების ახლო ან შორი სინათლით, ხოლო განათებულ მონაკვეთებზე — ახლო სინათლით ან გაბარიტული განათებით.

133. დღისით არასაკმაო ხილვადობის პირობებში მოძრაობისას, აგრეთვე გვირაბებში, სატრანსპორტო საშუალებებზე ჩართული უნდა იყოს ფარების ახლო სინათლე.

შენიშვნა. არასაკმაო ხილვადობის პირობებად ითვლება მეტეოროლოგიური პირობები (ნისლი, წვიმა, თოვლი და ა. შ.), როცა ხილვადობის მანძილი 300 მეტრზე ნაკლებია".

141.ე პუნქტს დაემატოს შემდეგი აბზაცი:

„დღის ნათელ დროს ბუქსირებისას მაბუქსირებელ სატრანსპორტო საშუალებაზე ხილვადობის პირობების მიუხედავად ჩართული უნდა იყოს ფარების ახლო სინათლე, ხოლო საბუქსირო ტრანსპორტზე — გაბარიტული განათება".

პუნქტი 151 „ა" ქვეპუნქტს დაემატოს სიტყვები:

„სატვირთო მოტოციკლის ძარაში";

პუნქტი 151, „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მსუბუქი ავტომობილის წინა და მოტოციკლის უკანა დასაჯდომებზე 12 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებისა.

შენიშვნა. წინა დასაჯდომზე ბავშვების გადაყვანა ნებადართულია სპეციალური საბავშვო საიტომობილო დასაჯდომებით, რომლებიც მაგრდება მათი გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად".

პუნქტი 151, „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მგზავრების იმ რაოდენობაზე მეტი, რომელიც გათვალისწინებულია მოცემული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლით, 12 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვების ჩაუთვლელად".

პუნქტი 151, „დ" ქვეპუნქტი გაუქმდეს.

პუნქტი 152, სიტყვების „...საცნობი ნიშნები" შემდეგ დაემატოს: „...გარდა ამისა, დღის ნათელ დროსაც ჩაირთოს ფარების ახლო სინათლე".

154-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი აბზაცი:

„სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც გადაკვეთს დიდგაბარიტიანი მძიმეწონიანი საშიში ტვირთი, დღის ნათელ დროსაც ხილვადობის პირობების მიუხედავად ჩართული უნდა იყოს ფარების ახლო სინათლე".

პუნქტი 165, ქვეპუნქტი „111 ა": ამოღებულ იქნეს სიტყვები „...სარბენი ბილიკის ცენტრში...".

პუნქტი 175 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტომობილებზე, რომლებსაც მართავენ ყრუ ან ყრუმუნჯი მძღოლები, დაიდგას საცნობი ნიშანი — 160 მმ დიამეტრის ყვითელი წრე. მის შიგნით ჩახატული იქნება სამი 30 მმ დიამეტრის შავი რგოლი, განლაგებული წარმოსახული ტოლგვერდა სამკუთხედის კუთხეებში, რომლის წვეროები მართულია. ქვევით, ხოლო ხელით სამართავად გადაკეთებულ ავტომობილებზე უნდა დაიდგას ასეთივე ზომის ყვითელი წრე, მასში ჩახატული წვეროთი ქვევით მიმართული შავი ფერის ტოლგვერდა სამკუთხედით და მას ყვითელი ფერით დაეწერება „P" ასო. ეს საცნობი ნიშნები სატრანსპორტო საშუალებაზე წინა და უკანა მხარეს იდგმება".

პუნქტი 177 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყველა ტიპის მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი სატვირთო ავტომობილებზე (ტრაქტორებზე), აგრეთვე შეწყვილებულ ავტობუსებსა და ტროლეიბუსებზე, რომელთა სიგრძე 12 მეტრზე მეტია, კაბინის (ძარის) წინა ნაწილის ზემოთ უნდა დაიდგას ავტომატარებლის საცნობი ნიშანი — ნარინჯისფერი სამი ფარანი, განლაგებულნი კაბინის შუაში 150-300 მმ შუალედებით. ავტომატარებლის მოძრაობისას საცნობი ნიშანი დღე-ღამის ნებისმიერ დროს უნდა იყოს ჩართული.

შენიშვნა. დასაშვებია ექსპლოატაცია ავტომობილის ადრე დადგმული საცნობი ნიშნისა, რომელიც წარმოადგენს ყვითელი ფერის ტოლგვერდა სამკუთხედს (გვერდი — 250 მმ) შიდაგანათების მოწყობილობით".

პუნქტი 180. მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასეთივე დაფებით ან ალმებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ყველა ნაწილი, რომელიც სიგრძით თუ სიგანით მის გაბარიტებს სცილდება. დრეკადი შემაკავშირ